კრეატიული აქტი და ირაციონალური გამოცდილება

პოსტმოდერნისტული პლურალიზმის ეკლექტურ ეპოქაში მხატვრის შემოქმედებითი რეფლექსია და რადიკალური ჟესტი მარტივ ორნამენტალობამდე და დეკორატიულ კომპრომისამდეა დაყვანილი. თანამედროვე მომხმარებლურ საზოგადოებაში და არსებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ხელოვნება როგორც ინსტიტუტი აღარ წარმოადგენს ცვლილების მაძიებელ ცენტრს. თუ მხატვარი აკეთებს ისე, როგორც შეუძლია და არა როგორც გრძნობს და ფიქრობს, მაშინ ეს მხოლოდ პრიმიტიული ფოლკლორია. ხელოვნება კაცობრიობის და პიროვნების მსოფლშეგრძნებათა გენერირების და გამოხატვის საშუალებაა. მისი მიზანი სამყაროს სტრუქტურული და მხატვრული შინაარსის კვლევაა. ხელოვნება, რომელიც არ გამოხატავს დაინტერესებას თანამედროვე ცივილიზაციის პრობლემატიკით, ფუნქციონირებს როგორც მხოლოდ ობივატელის გემოვნებაზე აწყობილი პასიური სურათ-ხატების გასამრავლებელი მანქანა. ხელოვნება, როგორც შემდგარი კრეატიული აქტი გამორიცხავს პროგრესის და რეგრესის მცნებებს. მსგავსი დეფინიცია ხელოვნების ისტორიის გარკვეული კულტუროლოგიური კონტექსტების კლასიფიკაციაშია შესაძლებელი. რაც შეეხება უშუალოდ ხოლოვნებას, ის უბრალოდ ან არის, ან არ არის. ბოლო სენტენციის თვალსაჩინო მაგალითს თამაზ ვარვარიძის ხელოვნება წარმოადგენს. თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში მისი სახელი სახვითი სინთეზის და კომპოზიციის ინოვაციურ გააზრებას უკავშირდება. ის სწორედ იმ იშვიათ მხატვართა რიგს განეკუთვნება, რომელთა შემოქმედებაც მუდმივი ძიებისა და განახლების პროცესშია.მისთვის მიუღებელია რომელიმე მხატვრული მეთოდის ექსპლუატირება ან მისი პასიური პროეცირება. მასალა და სტილი მისთვის კვლევისა და მედიტაციის საგანია. მხატვრისთვის ხელოვნების მნიშვნელობა თანამედროვეობის კონტექსტში ახლისადმი შინაგანი მზადყოფნის და გულისხმიერების ტოლფასია, მაგრამ მთავარი მაინც სახვითი სტერეოტიპების დაძლევასა და გარღვევაში იკვეთება. თამაზ ვარვარიძის სპონტანური ხელწერა თავისუფლად არღვევს კლასიკური კომპოზიციის პრინციპებს, ხოლო სასურათე სიბრტყეზე კონცეპტუალური და აბსტრაქტული სტრუქტურების გამოჩენა, პოტენციურად მათივე გაქრობის შესაძლებლობითაა ინსპირირებული. მისი აბსტრაქტული მხატვრობა ხაზგასმულად სტრუქტურირებული და ექსპრესიულია. ეს უკანასკნელი კონტრასტულად ეხმიანება სიბრტყობრივ ლაქებს, მაშინ როდესაც სურათის მხატვრული დიაპაზონი დახვეწილი ტონალური გრადაციების და ფერადოვანი ინტენსიურობის ფართო სპექტრის მომცველია. მაქსიმალური განზოგადოების, ან უფრო ზუსტად მაქსიმალური დეკონსტრუირების ზღურბლზე სივრცითი, სიბრტყობრივი თუ მოცულობითი დეტალები თითქოს დაშლის პროცესში იმყოფებიან, სადაც სტიქიური მონასმები და ხაზები ამძაფრებენ ექსპრესიულ გარემოს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეთრს, როგორც ხაზგასმულად დამოუკიდებელ და პირობით საწყისს, აგრეთვე შავ ლაქებს და ხაზულობას, როგორც მაქსიმალურად შეკრული აბსტრაქტული სიმბოლო. სპონტანური, ფერადოვანი და გრაფიკული ჰარმონიები, ისევე როგორც მათ სიღრმეში წარმოქმნილი დისონანსები და მათ შორის არსებული პაუზები, ავანგარდული მუსიკალური პიესის ჟღერადობას ემსგავსებიან. თამაზ ვარვარიძის აბტრაქტული კონცეპტები რამდენიმე პარალელურ რეალობასამჟღავნებს, ამიტომ ერთი ნამუშევრის ფარგლებში დროის და სივრცის განსხვავებული პარამეტრებია წარმოჩენილი და მხოლოდ გრაფიკული კარკასის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ამ ვიბრაციების ერთ ადგილზე შეკავება. მხატვრის ვიზუალური მეტაფორიზმი თავისუფალია იდეოლოგიური გავლენებისგან. თვითგამოხატვის ყველა ცალკეულ სეგმენტში მხატვარი პოულობს ფასეულობათა ახალ სისტემას. თამაზ ვარვარიძე მეტაფიზიკური განზომილების შემოქმედია. მისი კონცეპტუალური და აბსტრაქტული მხატვრობა, სიმბოლური და მინიშნებითი, საგნების და მოვლენების პირველსაწყისის ასახავის მცდელობაა. თავის კონცეპტუალურ გამოცდილებას ის პირდაპირ და უკომპრომისოდ გამოხატავს, თუმცა ყველა კომპოზიცია სტრუქტურირებული და

მოწესრიგებულია, რაშიც ვლინდება მხატვრის უზადო პროფესიონალიზმი. ის თავის მოწოდებას რეალობის უშუალო განცდასა და ხელოვნების ნაწარმოების რეალობად ქცევაში ხედავს. სწორედ აქ ვლინდება თამაზ ვარვარიძის შემოქმედებითი კრედო, რომელიც შინაგანი თავისუფლების და სამყაროს ეკზისტენციალურ განცდას ეფუძნება. ზემოთ შემდგარი დისკურსის გამყარებას იგორ სტრავინსკის სიტყვებით შევეცდები: „ადამიანები მუსიკაში იმას არ ეძებენ, რაც მის არსს შეადგენს. მათთვის მთავარია იცოდნენ, რას გამოხატავს ის და რა ქონდა მხედველობაში ავტორს როცა მას ქმინდა. მათ ვერ გაუგიათ, რომ მუსიკა არის საგანი თავის თავში, დამოუკიდებლად იმისა, რას შთააგონებს ის მათ.“

ილია ზაუტაშვილი თბილისი, 2015